ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6288697

ნომერი: AR1940833

თარიღი : 27.12.2022

გაცემის თარიღი : 17.01.2023

გაცნობის თარიღი : 17.01.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იოსებ ალავერდელის ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა თორაძე პ/ნ 01012016875
- თბილისი გარეკახეთის ქ. N 4 ბ. 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - ქარხანა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. წარმოდგენილი სქემის მიხედვით, საპროექტო შენობის განთავსება გათვალისწინებულია უკანა ეზოს ტერიტორიაზე (იხ. დანართი). №14-39 დადგენილების თანახმად, უკანა ეზოს ტერიტორიაზე დაუშვებელია შენობის ან მისი ნაწილის (მათშორის სახურავის) განთავსება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზი (უკანა ეზოსთვის), რომლის გათვალისწინებით უნდა განთავსდეს საპროექტო შენობა.

2. მოთხოვნის შინაარსი -> ....მოთხოვნის ტექსტი: დეტალურად განიმარტოს საპროექტო შენობის ფუნქციური დანიშნულების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

3. საპროექტო მიწის ნაკვეთთან ფიქსირდება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნას შპს ,,თბილსერვის ჯგუფი"-ს პოზიცია ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

4. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აეროდრომის რაიონში. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია აჭარბებს შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს მიერ დადგენილ ნიშნულს, საჭიროა წარმოადგინოთ აეროდრომის ექსპლუატანტის შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

5. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №508 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში. საჭიროა ზემოაღნიშნული დადგენილების 915-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილ იქნას საპროექტო შენობის ნაკვეთზე განთავსების სქემა, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზ(ებ)ის ჩვენებით, შესაბამისი გაბარიტული ზომების, მოხვევის რადიუსებისა და გზიდან შენობის მიბმის მანძილების ჩვენებით. აღნიშნულ სქემაზე ასევე დატანილ იქნას შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე.

6. წარმოდგენილი განაცხადი გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილი: 60-0123016270) პოზიციის დასაფიქსირებლად, რომლის პასუხსაც გაცნობებთ დამატებით.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.